Рассматриваются вопросы автоматизированного проектирования структур логически единой базы данных для учета бенефициаров и компьютерного мониторинга системы социального обслуживания методом объектно-ролевого моделирования (ORM/ERM). На основе анализа бизнес-процессов существующей системы и UML-моделирования предлагаются концепция разработки веб-сервисной системы проблемной области социального обслуживания и реализация пользовательского визуального интерфейса на .NET платформе с инструментальными средствами ASP/XML/C#.

**მოთხოვნების შემუშავება უნივერსიტეტის ინტეგრირებული  
კომპიუტერული სისტემის ასაგებად**

**ზურაბ ბოსიკაშვილი, ლოლიტა ბეჟანიშვილი, ზურაბ გოგიშვილი**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

თანამედროვე უნივერსიტეტი უმაღლესი სასწავლებელია თავისი განვითარებული ინფრასტრუქტურით და მრავალფეროვანი ფუნქციონალობით. ასეთი უნივერსიტეტისთვის ორგანიზაციული, სასწავლო და სამეცნიერო პროცესების კომპიუტერიზაცია არ წარმოადგება მარტივი ამოცანებისგან, რისი საუკეთესო მაგალითია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, რომელიც თანამედროვეობის ერთერთი უმსხვილესი და სწრაფად განვითარებადი უმაღლესი სასწავლებელია. ამჟამად საქართველოს არაერთ უნივერსიტეტში უკვე საკმაო ხანია მიმდინარეობს ცალკეული პროცესების კომპიუტერიზაცია, განსაკუთრებით საბუღალტრო-საფინანსო და სწავლების ცალკეულ სფეროებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ ატარებს სისტემურ ხასიათს, მიმდინარეობს სხვადასხვა შიგა პროცესების ერთმანეთთან და გარე სისტემებთან მიმართებაში კავშირების გაუთვალისწინებლად, აგრეთვე პროგრამული სისტემების აგების ერთიანი ტექნოლოგიის უგულვებელყოფით. ამასთან მომავალში სხვა პროცესების კომპიუტერიზაციისას ასეთი მიდგომა დიდი ალბათობით გამოიწვევს ხსენებული პრობლემების მოზღვაებას, განსაკუთრებით კი ეს ითქმის უნივერსიტეტების საქმიანობის ფართომასშტაბიანი ავტომატიზაციის მცდელობისას. სწორედ ამ მიზეზთა გამო აქ შემოთავაზებულია მოთხოვნების შემუშავების ტექნოლოგია თანამედროვე უნივერსიტეტის მართვის ინტეგრირებული კომპიუტერული სისტემის ასაგებად, რამაც უნდა უზრუნველყოს ერთიანი აკადემიური პროცესის ეფექტიანი დაგეგმვა და მართვა უნივერსიტეტის შიგა ქვესისტემებთან და გარე ორგანიზაციების სისტემებთან ინტეგრირებით და სინქრონული მუშაობით.

**DEVELOPMENT OF REQUIREMENTS FOR THE CONSTRUCTION OF THE INTEGRATED  
COMPUTER SYSTEM OF THE UNIVERSITY**

**Bosikashvili Zurab, Bezhanishvili Lolita, Gogishvili Zurab**  
Georgian Technical University

**Summary**

Many universities of Georgia have long ago accomplished the computerization of separate processes, especially in the bookkeeping-financial and education sphere. However, it should be noted that it does not bear system nature; it flows without taking into account the interrelations of different internal processes and connections with the external systems, and also with ignoring of the integrated technology of the construction of program systems. Moreover, this approach to the computerization of other processes in the future with the great probability will lead to the stratification of the mentioned problems, especially with an attempt at the large-scale automation of university activity. Contemporary university is higher educational institution with the valuable infrastructure and the varied functionality. Computerization of the organizational, training and scientific activity for this formation is not represented by merely the collection of primitive tasks. The Georgian technical university, which personifies by itself one of most important and rapidly developing Institute of Higher Education, serves as the best example. Specifically, for these reasons in the article the technology of the development of requirements is proposed for the construction of the integrated computer system for university control, which must ensure effective planning and control of

academic processes for the purpose of integration and synchronization of the internal subsystems of university and interactions with the external systems.

## **РАЗРАБОТКА ТРЕБОВАНИЙ К ПОСТРОЕНИЮ ИНТЕГРИРОВАННОЙ КОМПЬЮТЕРНОЙ СИСТЕМЫ УНИВЕРСИТЕТА**

**Босикашвили З., Бежанишвили Л., Гогишвили З.**  
Грузинский Технический Университет

### **Резюме**

Во многих университетах Грузии уже достаточно давно осуществляется компьютеризация отдельных процессов, особенно в бухгалтерско-финансовой и учебной сфере. Однако следует отметить, что она не носит системный характер, протекает без учёта взаимосвязей разных внутренних процессов и связей с внешними системами, а также с игнорированием единой технологии построения программных систем. К тому же такой подход к компьютеризации других процессов в будущем с большой вероятностью приведёт к наслоению упомянутых проблем, особенно при попытке широкомасштабной автоматизации университетской деятельности. Современный университет представляет собой высшее учебное заведение с развитой инфраструктурой и многообразной функциональностью. Для такого учреждения компьютеризация организационной, учебной и научной деятельности не представима набором примитивных задач. Наилучшим примером служит Грузинский технический университет, который олицетворяет собой один из крупнейших и быстро развивающихся вузов современности. Именно по этим причинам в статье предлагается технология разработки требований к построению интегрированной компьютерной системы управления современным университетом, которая должна обеспечить эффективное планирование и управление академическими процессами с целью интеграции и синхронизации внутренних подсистем университета и взаимодействия с внешними системами.



## საგანში სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობის ეფექტურობის შეფასების მოდელი

თამარ ლომინაძე, ნინო წიკლაური  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### რეზიუმე

შემოთავაზებულია აკადემიურ საგანში სტუდენტთა ინდივიდუალური მუშაობის ეფექტური შეფასების ამოცანა. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოსამზადებლად საჭიროა შესაბამის სფეროში დაგროვილი ცოდნის სტრუქტურულიზაცია და მისი წარმოდგენა სასწავლო კურიკულუმის სახით. კურიკულუმი არის ჯგუფი ურთიერთდაკავშირებული საგნებისა, რომლებიც, თავის მხრივ, ცოდნის ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისგან შედგება. რადგანაც კურიკულუმში შემაჯავლი საგნები გარკვეული თანმიმდევრობით შეისწავლება, ამიტომ, დროთა განმავლობაში ხდება ამათუიმ საგანში მიღებული ცოდნის დავიწყება. ამიტომ, აუცილებელია განვლილი მასალის განმეორება და დაგეგმვა ისე, რომ მოხდეს მისი პერიოდული გამეორება და ახალ მასალასთან დაკავშირება. სტატიაში შემოთავაზებულია მოდელი, რომელიც მოგვცემს სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობის ეფექტურობის შეფასების საშუალებას, განვლილი მასალის გვემოური გამეორებების გათვალისწინებით.

## MODEL OF EVALUATION OF A STUDENT INDIVIDUAL PERFORMANCE IN A SUBJECT

Lominadze Tamar, Tsiklauri Nino  
Georgian Technical University

### Summary

In the represented article the problem of the effective evaluation of a student performance is presented in a particular subject. To train professionals in a given field, it is necessary for universities to prepare right curricula based on a knowledge that is accumulated in this sphere. In general, a curriculum is a set of interrelated subjects, which, in turn, represent interrelated set of items of knowledge. Whereas subjects are taught in a predefined logical sequence and are distributed in time, students tend to forget a part of a knowledge they earned in the preceding subjects. So, it is vital to create planned repetitions to recall topics that are already covered and link them to the new material, in order to achieve those final goals in education that were set at the beginning. For this, in the represented article we want to represent a model, which enables creating, planning and scheduling learning process, taking into the account linkage between subjects and required repetitions.

## МОДЕЛЬ ОЦЕНКИ ИНДИВИДУАЛЬНОЙ РАБОТЫ СТУДЕНТА ПО ПРЕДМЕТУ

Ломинадзе Т., Циклаური Н.  
Грузинский Технический Университет

### Резюме

Рассматривается задача эффективной оценки индивидуальной работы студента по предмету. Для того, чтобы подготовить профессионалов в какой-либо области, нужно разработать куррикулум, основанный на знаниях, накопленных в этой сфере. Куррикулум - это группа взаимосвязанных предметов, которые, в свою очередь, представляют группы взаимосвязанных элементов знаний. Поскольку предметы изучаются в определенной последовательности и, они распределены во времени, студенты забывают часть тех знаний, которых приобрели в процессе изучения предыдущих предметов. Поэтому, для достижения конечной цели образования очень важно составить план повторений, чтобы студент имел возможность вспомнить и повторить ранее изученный материал и связать его с новым материалом. В статье представлена модель, которая позволяет запланировать учебный процес с учетом взаимосвязи предметов и повторений.

**ხარისხის მართვის მათემატიკური მოდელი ღვინის  
ბაღამამუშავებელი საწარმოსათვის**

ნოდარ აბელაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

პროდუქციის ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა საუკეთესო საშუალებაა ბუნებრივი, ტექნოლოგიური, ინტელექტუალური და ფინანსური რესურსების დასაზოგად. კონკრეტული კომპანიის მიერ მოწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით შემოთავაზებულია ზემოქმედების ფაქტორების ხარისხის მართვის მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა მინიმალური დანახარჯებით განვახორციელოთ ხარისხის მართვის მექანიზმის ოპტიმიზაცია.

**MATHEMATICAL MODEL OF QUALITY MANAGEMENT  
INFLUENCING FACTORS FOR THE PRODUCTION OF WINE**

Abelashvili Nodar  
Georgian Technical University

**Summary**

The work on quality management helps to conserve natural, technological, intellectual and financial resources. A mathematical model, control product quality changes impact factors, based on specific wine companies. The model allows for the optimization quality management mechanism under the minimal costs.

**МАТЕМАТИЧЕСКАЯ МОДЕЛЬ УПРАВЛЕНИЯ КАЧЕСТВОМ  
ДЛЯ ВИНОГО ПРОИЗВОДСТВА**

Абелашвили Н.Н.  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Работа по повышению качества продукции - лучший способ сбережения природных, технологических, интеллектуальных и финансовых ресурсов. Предложена математическая модель управления качеством продукции при разных воздействующих факторах на основе данных конкретной винодельческой компании. Модель дает возможность при минимальных затратах осуществить оптимизацию механизма управления качеством.

**ელექტრონული საგადასახადო სისტემის მართვის პროცესების დამუშავება**

თეიმურაზ სუხიაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

განხილულია თანამედროვე ელექტრონული საგადასახადო სისტემის ბიზნეს-პროცესების კვლევა და მოდელირება UML დიაგრამების საფუძველზე, მათი შემდგომი პროგრამული რეალიზაციის მიზნით Rational Rose გარემოში. საბანკო ოპერაციების, სავაჭრო შეთანხმებებისა და ორმხრივი გადახდების თანამედროვე პრაქტიკა წარმოუდგენელია გადახდის პლასტიკური ბარათების გამოყენების გარეშე. საიმედოობის, უნივერსალობის და მოხერხებულობის გამო პლასტიკურმა ბარათებმა დაიკავეს საპატიო ადგილი სხვა საგადასახადო საშუალებებს შორის. ელექტრონული საგადასახადო სისტემის გამართული მუშაობისათვის აუცილებელია პლასტიკური ბარათებიდან მიღებული ინფორმაციის საიმედო შენახვა, გადაცემა და დამუშავება. რაც ბევრად არის დამოკიდებული სისტემის პროგრამული უზრუნველყოფისაგან.

**ELABORATION CONTROL PROCESSES FOR ELECTRON  
PAYMENT SYSTEM**

Teimuraz Sukhiashvili  
Georgian Technical University

**Summary**

Problems of research and modeling business processes of modern electronic tax system on the basis of diagrams UML are considered, for the purpose of their further development on a Rational Rose platform. Bank operation, commercial agreement and bilateral payment can not be made without plastic cards. Plastic cards are the leaders among other payment tools due to safety, universality and convenience. For the smooth functioning of the electron payment system, the plastic card related information should be safely kept, transferred and processed, which is significantly preconditioned by the proper software.

**РАЗРАБОТКА ПРОЦЕССОВ УПРАВЛЕНИЯ ЭЛЕКТРОННОЙ  
ПЛАТЕЖНОЙ СИСТЕМЫ**

Сухиаშვილი Т.  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассматриваются вопросы исследования и моделирования бизнес-процессов современной электронной платежной системы на основе UML диаграмм, с целью их дальнейшей программной реализации на платформе Rational Rose. Современную практику банковских операций, торговых сделок и взаимных платежей невозможно представить без расчетов с применением пластиковых карт. Благодаря надежности, универсальности и удобству пластиковые карты завоевали прочное место среди других платежных средств. Для устойчивой работы электронной платежной системы необходимо надежно сохранить, передать и переработать полученную из пластиковых карт информацию, что во многом зависит от программного обеспечения системы.

**სამედიცინო ინფორმაციული სისტემების დამუშავების  
ძირითადი პრინციპები და საშუალებები**

მარინა თუშიშვილი, მარინე ბერიშვილი, ქეთევან ავალიშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
**რეზიუმე**

განხილულია სამედიცინო ინფორმაციული სისტემების ფორმირების კონცეპტუალური მიდგომები და მართვის ძირითადი პრინციპები. ამ სტატიაში ჩვენ ვიხილავთ ასეთი სისტემების დამუშავების შესაძლებლობას და საშუალებებს. ვიხილავთ, ასევე მათი დამუშავების ძირითად პრინციპებს და დებულებებს. ჩამოყალიბებულია სამედიცინო დაწესებულების (საავადმყოფოს) მართვის ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემის შექმნის ძირითად ფუნქციებს და ქვესისტემებს.

**MAIN PRINCIPLES AND OPPORTUNITIES TO DEVELOP THE MEDICAL  
INFORMATIONAL SYSTEMS**

Tushishvili Marine, Berishvili Marine, Avalishvili Qetevan  
Georgian Technical University

**Summary**

The conceptual approach to medical informational system formation and the main principles of management are considered. The main conditions, possibilities for such systems are stipulated. The main functions and sub-systems of automated informational systems of the health management (clinics) are developed.

**ОСНОВНЫЕ ПРИНЦИПЫ И ВОЗМОЖНОСТИ РАЗРАБОТКИ  
МЕДИЦИНСКИХ ИНФОРМАЦИОННЫХ СИСТЕМ**

Тушишвили М.А., Беришвили М.Г., Авалишвили К.В.  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассмотрены концептуальный подход к формированию медицинских информационных систем и основные принципы управления. Определены основные положения, возможности и средства разработки таких систем.. Сформированны основные функции и подсистемы автоматизированных информационных систем управления медицинским учреждением (больницей).

## **სტუდენტთა ტესტირებისა და შეფასების ავტომატიზებული სისტემა საოფისე პროგრამების გამოყენებით**

თამაზ შეროზია, ლილი პეტრიაშვილი, ანა შავდათუაშვილი, ანა ეხვაია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### **რეზიუმე**

ნაშრომში წარმოდგენილია საოფისე პროგრამების საფუძველზე აგებული სტუდენტთა ტესტირებისა და შეფასების ავტომატიზებული სისტემა. იგი საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს სხვადასხვა ტიპის შეკითხვები, რომელიც წარმოდგენილია იერარქიულად სირთულის მიხედვით. ტესტირების შედეგების ფანჯრის დათვალიერებით სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, მათ მიერ მიღებული შეფასების ანალიზისათვის. ასევე წარმოდგენილია შეფასების ელექტრონული უწყისი, სადაც შესაძლებელია სტუდენტთა მიმდინარე შეფასებების აღრიცხვა და საბოლოო შედეგების კალკულაცია. ეს სისტემა გამოყენების თვალსაზრისით არის საკმაოდ მარტივი, არ საჭიროებს მომხმარებლის გადამზადებას და ხელმისაწვდომია ყველასათვის, ვისაც კი კომპიუტერთან მუშაობის ელემენტარული უნარჩვევები გააჩნია.

## **THE AUTOMATED CONTROL SYSTEM BY APPLICATION OF THE OFFICE PROGRAM FOR STUDENTS TESTING AND TRAINING**

Sherozia T., Petriashvili L., Shavdatuashvili A., Echvaia A.  
Georgian Technical University

### **Summary**

The office programs for testing and automated training of students is presented. The system gives the opportunity to deploy different type of questions, presented hierarchically per the complexity. The electronic notification is installed where the test and final grades of the students are reflected. The system is user-friendly and does not require any additional user training.

## **АВТОМАТИЗИРОВАННАЯ СИСТЕМА ТЕСТИРОВАНИЯ И ОЦЕНКИ СТУДЕНТОВ НА БАЗЕ ОФИСНЫХ ПРОГРАМ**

Шероэия Т., Петриашвили Л.  
Грузинский Технический Университет

### **Резюме**

Представлена автоматизированная система тестирования и оценки студентов с использованием офисных программ. Система дает возможность использования разнотипных вопросов, которые представлены иерархически по сложности вопросов. В системе представлена также электронная ведомость, в которой отражаются результаты текущих тестирований и расчеты конечных оценок студентов. Система отличается простотой реализации и использования, не нуждается в специальной подготовке пользователей.

## **ბრძოლა კორუფციასთან იერარქიული სტრუქტურების მძონე ბიუროკრატიაში**

**ვლადიმერ კეკენაძე, ნინო ფაილოძე, გენო გვალია, მალხაზ სულაშვილი**  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### **რეზიუმე**

კორუფცია დანაშაულის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ის უნდა განვიხილოთ როგორც სპეციფიკური დანაშაული. სხვა სახეებისგან განსხვავებით, იგი არაა დაკავშირებული ძალადობასთან. ერთი შეხედვით, მსხვერპლი არ ჩანს, მაგრამ სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის ბევრი ცუდის მომტანია, ვიდრე სხვა სახის დანაშაული. კორუფცია არის საზოგადოებაში პიროვნების მიერ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის საკუთარი ანგარებრივი მიზნებით გამოყენება. გამოიყოფა კორუფციის განსხვავებული ტიპები, თუმცა ასეთი ტიპებად დაყოფა შეიძლება განვხორციელოთ სხვადასხვა დონეზე. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ რამდენადაც კორუფცია-არაკანონიერი მოქმედებაა, ამიტომ სტატიკური მონაცემები მისი მასშტაბების შესახებ, გამოვლენა და წესები, კორუმპირებული საზოგადოების შიგნით მოქმედება და კორუფციის მოქმედების მექანიზმი საკმაოდ ძნელი დასაფიქსირებელია. ეს ახელებს მის შესწავლას, და კერძოდ მოდელირებას.

## **FIGHT AGAINST CORRUPTION WITHIN THE BUREAUCRACY CONSISTING OF HIERARCHICAL STRUCTURES**

**Kekenadze Vladimer, Pailodze Nino, Gvalia Geno, Sulashvili Malkhaz**  
Georgian Technical University

### **Summary**

Corruption is the definite, very specific sort of the crime. As against to the other crime varieties, corruption does not relate to the harassment. With the quick glance, the victim is absent; however, it severely damages the state and society than any other crime. Corruption means abuse of the positional power for the own purposes. Several types of corruption are distinguished; however such separation can be provided on the different levels. It should be also noted that corruption is the illegal action, thus making it very sophisticated to record the statistics data about its scales, detection, rules, coverage within the bribed society and functioning mechanism, thus making the relevant study, especially modeling, utterly complicated.

## **БОРЬБА С КОРРУПЦИЕЙ В БЮРОКРАТИИ С ИЕРАРХИЧЕСКОЙ СТРУКТУРОЙ**

**Кекенадзе В., Пайлодзе Н., Гвалия Г., Сулашвили М.**  
Грузинский Технический Университет

### **Резюме**

Коррупция – это одно из проявлений преступления. По сравнению с его другими видами коррупция не связана с насилием. На первый взгляд жертвы не видно, но она приносит государству и обществу больше вреда, чем любое другое преступление. Коррупция представляет собой использование личностью своего служебного положения в личных, корыстных целях. Выделяют различные типы коррупции, хотя такое разделение на типы возможно выполнить на различных уровнях. Необходимо отметить, что так как коррупция - деятельность незаконная, статистические данные о ее масштабах, проявлениях и правилах, действия в коррумпированном обществе, и механизмы действия коррупции являются довольно трудными для фиксации. Это усложняет ее изучение и, в частности, моделирование.

**კორპორაციული მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის  
დაგეგმვა ნავთობპროდუქტების გადაზიდვის მაბალითზე**

ალექსანდრე ბურჯულაძე, იოსებ ირემაშვილი, გიორგი სურგულაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

ნავთობპროდუქტების გადაზიდვის კორპორაციის ბიზნეს-პროცესების გამოკვლევისა და ობიექტ-ორიენტირებული ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა მართვის არსებული სისტემის სრულყოფის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ბაზაზე. ობიექტზე უშუალოდ ჩატარებული IT-კონსალტინგის შედეგად დადგინდა მონიტორინგის ეფექტური მენეჯმენტისთვის კლიენტ-სერვერული საინფორმაციო სისტემის შექმნის პროექტის აუცილებლობა. ეს სისტემა განახორციელებს ნავთობპროდუქტების გადაზიდვის პროცესის საკონტროლო პუნქტების მონიტორინგს და შედეგების ანალიტიკურ დამუშავებას. იგი არის მოქნილი ინსტრუმენტი ნავთობპროდუქტების გადაზიდვის კორპორაციის მენეჯერისთვის, როგორც გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემა.

**DEVELOPMENT OF INFORMATION SYSTEM OF CORPORATE MANAGEMENT  
ON THE EXAMPLE OF OIL PRODUCTS TRANSPORTATION**

Burchuladze Alexandre, Iremashvili Ioseb, Surguladze Giorgi  
Georgian Technical University

**Summary**

On the basis of research and the object-oriented analysis of business processes of a corporation engaged in oil product transportation, the opportunities to perfect the existing control system and decision making through application of new information technology are revealed. As a result of on-site IT-consulting, it became essential to develop the project for monitoring client-server information system for the purpose of its effective management. This system is capable to monitor the processes of oil products transportation in control points and conduct analytical processing of the information. It is a flexible tool for decision-making for a corporate manager.

**РАЗРАБОТКА ИНФОРМАЦИОННОЙ СИСТЕМЫ КОРПОРАТИВНОГО  
МЕНЕДЖМЕНТА НА ПРИМЕРЕ ПЕРЕВОЗКИ НЕФТЕПРОДУКТОВ**

Бурчуладзе Александр, Иремашвили Иосиф, Сургуладзе Георгий  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

На основе исследования и объектно-ориентированного анализа бизнес-процессов корпорации перевозок нефтепродуктов определены проблемы совершенствования существующей системы управления и пути их решения на базе использования новой информационной технологии. В результате IT-консалтинга непосредственно на объекте автоматизации была установлена необходимость разработки проекта для создания клиент-серверной информационной системы мониторинга с целью его эффективного менеджмента. Эта система способна осуществлять мониторинг процессов транспортировки нефтепродуктов в контрольных пунктах и проводить аналитическую обработку информации. Она является гибким инструментом принятия решений для корпоративного менеджера.



**ელექტრონული საარჩევნო სისტემის მხარდამჭერი  
IT-ინფრასტრუქტურის დამუშავება**

გიორგი ბასილაძე  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

სტატიაში განხილულია საზღვარგარეთისა და საქართველოს არსებული საარჩევნო სისტემათა კრიტიკული ანალიზი და გადმოცემულია ახალი, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ელექტრონული საარჩევნო სისტემის მხარდამჭერი IT-ინფრასტრუქტურის დამუშავების კონცეფცია.

**DEVELOPMENT OF SUPPORT IT-INFRASTRUCTURE  
OF AN ELECTRONIC ELECTION SYSTEM**

Giorgi Basiladze  
Georgian Technical University

**Summary**

In the thesis we consider a critical analysis of foreign and Georgian existing election systems and is described the new, conception of development of support IT infrastructure of an Electronic Election System, proposed by us.

**РАЗРАБОТКА IT-ИНФРАСТРУКТУРЫ, ПОДДЕРЖИВАЮЩЕЙ  
ЭЛЕКТРОННУЮ СИСТЕМУ ВЫБОРОВ**

Басиладзе Георгий  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассматриваются вопросы критического анализа существующих зарубежом и в Грузии систем выборов. Излагается новая, предложенная нами электронная система выборов и поддерживающая ей концепция разработки IT-инфраструктуры.

**საკრედიტო მომსახურების მართვის ავტომატიზებული  
სისტემის დამუშავება**

თეიმურაზ სუხიაშვილი, ანა ბროლაძე, ირაკლი შურგაია  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

ბანკის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პროდუქტია კრედიტები. ბანკში არსებული კრედიტების მრავალსახეობა შესაბამისი პირობებით, მათი გაცემის პროცედურა და დაფარვის კონტროლი ინფორმაციულად გადატვირთული და დროით შეზღუდულია. სტატიაში განიხილება საკრედიტო მომსახურების ავტომატიზებული მართვა მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის MsSQL\_Server გამოყენებით.

**INTRODUCTION OF THE CREDIT SERVICE MANAGEMENT  
AUTOMATED SYSTEM**

SukhiaShvili Teimuraz, Broladze Anna, Shurgaia Irakli  
Georgian Technical University

**Summary**

The major product of the bank is credit. The wide range of the credits with the respective terms, the disbursement procedure and repayment monitoring seems to be flooded and time restricted. The automated management of the credit service is tackled within the article through application of SQL-Server.

**РАЗРАБОТКА АВТОМАТИЗИРОВАННОЙ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ  
КРЕДИТНЫМ ОБСЛУЖИВАНИЕМ**

Сушиашвили Т., Брoладзе А., Шургая И.  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Кредиты один из самых активных продуктов банка. Многовидность кредитов в банке с соответствующими условиями, процедура их выдачи и контроль погашения информационно перегружено и по времени ограничено. В статье рассматривается автоматизированное управление кредитного обслуживания с использованием системы управления базами данных SQL-Server.

**ნეირონისა და ნეირონული ქსელების სწავლება უკუკავშირის გამოყენებით  
ქართული სიმბოლოების ამოცნობის მაგალითზე**

ოთარ ვერულავა, ია ირემადე, ზურაბ წვერიკმაზაშვილი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

ნაშრომში წარმოდგენილია ერთი ნეირონისა და დაკავშირებული ნეირონების სიმრავლის სწავლების პროცესი სახეთა ამოცნობის პრობლემის გადაწყვეტა, რომელიც დაყოფილია ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება თითოეული სახისთვის ერთი ნეირონის სწავლება, სასწავლო ნაკრების რეალიზაციების გამოყენებით, მეორე ეტაპზე “ნასწავლი” ნეირონები ერთიანდებიან ქსელში. გაერთიანების კრიტერიუმია სახეებს შორის მაქსიმალური განსხვავებულობის მიღწევა, ისე რომ, არ დაიკარგოს შედგენილი სახის აღწერის მსგავსება საკუთარ თავთან. შემოთავაზებულია ამოცნობის პროცესში შეცდომის გასწორების მეთოდი, რომლის საშუალებითაც ხდება სახის აღწერის კორექტირება შეცდომის აღმოფხვრის პარალელურად. ნეირონული ქსელის სწავლების ალგორითმი რეალიზებულია  $C^{++}$  ენაზე. მიღებულია უშეცდომო ამოცნობა ერთი შრიფტის ყველა კვადრატისთვის.

**STUDY OF NEURONS AND NEURONAL NETWORKS WITH FEEDBACK  
ON THE EXAMPLE OF IDENTIFICATION OF GEORGIAN SYMBOLS**

Verulava Otar, Iremadze Ia, Tsverikmazashvili Zurab  
Georgian Technical University

**Summary**

In this work presented a problem of training a single neuron and associated neurons set to deal with Identification followed by association "trained" neurons. The learning process is divided into two phases. The first stage is studied one neuron to one image using the training assembly implementations. At the second stage of the "trained" the neurons are connected in a network. The criterion for referral group is the requirement to maximize the differences between the individual images as well. Not to lose the similarity developed description of its counterpart. A method of correcting mistakes with which he corrects the description of the image. In parallel with the removal of recognition errors.

**ОБУЧЕНИЕ НЕЙРОНОВ И НЕЙРОННЫХ СЕТЕЙ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ОБРАТНОЙ  
СВЯЗИ НА ПРИМЕРЕ РАСПОЗНАВАНИЯ ГРУЗИНСКИХ СИМВОЛОВ**

Верулава О., Иремадзе И., Цверикмазашвили З.  
Грузинский Технический Университет

**Резюме**

Представлена задача обучения одного нейрона и связанных нейронов для решения проблемы распознавания с последующим объединением «обучённых» нейронов. Процесс обучения разделяется на два этапа. На первом этапе обучения один нейрон для одного образа с использованием обучающей выборки реализаций. На втором этапе «обучённые» нейроны объединяются в сеть. Критерием объединения является требование достижения максимального различия между отдельными образами так что бы не потерять сходство разработанного описания со своим образом. Предлагается метод исправления ошибки с использованием которого происходит корректировка описании образов параллельно удаляющем ошибки распознавания.

მათემატიკა – MATHEMATICS – МАТЕМАТИКА

**სხვაობიანი სქემები ერთი არაწრფივი პარაბოლური  
ტიპის განტოლებისათვის**

ომარ ქომურჯიშვილი<sup>1</sup>, ნოდარ ხომერიკი<sup>2</sup>  
1-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
2-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

ნაშრომში წარმოადგენილია მრავალგანზომილებიანი ერთი არაწრფივი პარაბოლური ტიპის განტოლებისათვის სიმეტრიული აბსოლუტურად მდგრადი ( $O(r^2+|h|^2)$ ) აპროქსიმაციის მქონე სხვაობიანი სქემები. აღსანიშნავია, რომ თითოეული ექვივალენტური სხვაობიანი განტოლებები სრულად აპროქსიმირებს მოცემულ დიფერენციალურ განტოლებას. სწორედ ეს გარემოება განასხვავებს ამ სქემებს სხვა უმრავლეს ეკონომიურ სქემებისგან.

MATHEMATICS

**DIFFERENCE SCHEMES FOR SEVERAL NONLINEAR PARABOLIC  
TYPE EQUATION**

Komurjishvili Omar<sup>1</sup>, Khomeriki Nodar<sup>2</sup>

1-Tbilisi State University  
2-Georgian Technical University

**Summary**

Symmetric, absolutely stable schemes for some multidimensional nonlinear parabolic equation having approximation  $O(r^2+|h|^2)$  are presented. It is remarkable that every equivalent difference equation approximates the given differential equation completely, thus distinguishing such schemes from the majority of other economic schemes.

МАТЕМАТИКА


**РАЗНОСТНЫЕ СХЕМЫ ДЛЯ ОДНОГО МНОГОМЕРНОГО НЕЛИНЕЙНОГО  
УРАВНЕНИЯ ПАРАБОЛИЧЕСКОГО ТИПА**

Комурджишвили О.<sup>1</sup>, Хомерики Н.<sup>2</sup>  
1-Тбилисский Государственный Университет,  
2-Грузинский Технический Университет

**Резюме**

Рассматривается алгоритм построения симметричных абсолютно устойчивых разностных схем с аппроксимацией  $O(r^2+|h|^2)$  для одного многомерного нелинейного уравнения параболического типа. Нужно отметить, что каждое эквивалентное разностное уравнение полностью аппроксимирует данное дифференциальное уравнение, что и является отличием этих схем от большинства других экономических схем.

## პროფესორ ილია მიქაძის ხსოვნა (1928 – 2010)



გარდაიცვალა დიდი მეცნიერი და ღირსეული პედაგოგი ილია მიქაძე. იგი დაიბადა 1928 წლის 7 იანვარს სოფელ აჩიგვარაში (გალის რაიონი). 1949 წელს დაამთავრა სპი-ს ელექტროტექნიკური ფაკულტეტი სპეციალობით „ელექტრონული სადგურები. ქსელები და სისტემები“. 1949-1952 წლებში მოსკოვის ენერგეტიკული ინსტიტუტის ასპირანტია და იცავს საკანდიდატო დისერტაციას: „დროის მაგნიტური რელე“. 1990 წ. სტუ-ში იცავს სადოქტორო დისერტაციას: „სიჭარბის მქონე მომსახურების ტექნიკური სისტემების საიმედოობისა და ეფექტიანობის პროგნოზირების მოდელები“. 1991 წ. მიენიჭა პროფესორის აკადემიური წოდება.

1953-1956 წლებში. ი. მიქაძე მუშაობს სპი-ში დოცენტის თანამდებობაზე, ხოლო 1956-1979 წლებში ხელსაწყოთმშენებლობის და ავტომატიზაციის საშუალებათა თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (მისი ჩამოყალიბების დღიდან) სხვადასხვა თანამდებობებზე: უფროსი ინჟინერი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ლაბ.-გამგე, დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ინსტიტუტის დირექტორი.

1979-1983 წლებში მუშაობს ახლად ჩამოყალიბებულ სკი „რადიანში“ დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში და მთავარ ინჟინრად. 1983-1992 წლებში მუშაობს აგრძელებს სტუ-ში ტექნოლოგიური პროცესების და წარმოების ავტომატიზაციის კათედრის გაშენების თანამდებობაზე („პროგრამული მართვა მანქანათმშენებლობაში“). სიცოცხლის ბოლო დღემდე გახლდათ სტუ-ს „გამოყენებითი მათემატიკისა და მოდელირების“ კათედრის სრული პროფესორი.

ილია მიქაძემ საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ინფორმატიკის ტექნიკური და პროგრამული საშუალებების დაბეჭდვას, წარმოებას და დანერგვას. მის მიერ დამუშავებული მეთოდები, მიღებული მეცნიერული შედეგები წარმოადგენს სისტემური ანალიზის, მასობრივი მომსახურების, აღდგენისა და საიმედოობის თეორიის შემდგომ განვითარებას და ქმნის მყარ მეცნიერულ საფუძველს მაღალწარმადობის და მტყუნებათამდგრადი ტექნიკური სისტემების შესაქმნელად.

იგი ავტორია 15 გამოგონების და 200-ზე მეტი გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიის. ბოლო 20 წელიწადში გამოქვეყნებული სტატიებიდან, 60-ზე მეტი თეორიული ხასიათისაა. ისინი გამოცემულია საზღვარგარეთისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების პრესტიჟულ ჟურნალებში. ბევრი მათგანი თარგმნილია უცხოეთში. ის მონაწილეა მრავალი საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური კონფერენციის და სიმპოზიუმის. 1988-1991 წლებში მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომების მიხედვით გადაეცა სოროსის გრანტი. იყო ინგლის-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის მუშა ჯგუფის წევრი სამეცნიერო კვლევის ავტომატიზაციისათვის გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების შექმნის დარგში.

ბატონი ილიას ხელმძღვანელობით შეიქმნა პირველი ციფრული და ანალოგური ელექტრონული გამოთვლითი მანქანები, დამუშავდა და დაინერგა მთელი რიგი სპეციალიზებული და ბაზური გამოთვლითი სისტემები და კომპლექსები. სახელდობრ: ანალოგური ეგმ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ლუმენის ენერგეტიკული რეჟიმის მართვისათვის; საავიაციო რეაქტიული ძრავების სტაციონალური გამოცდის პროცესის ავტომატიზაციისათვის (დაინერგა მოსკოვის საავიაციო ძრავების ცენტრალური ინსტიტუტის საგამოცდო პოლიგონზე); საინფორმაციო ეგმ კომპლექსები, ატომურ და თბურ ელექტროსადგურებში მძლავრი ენერგობლოკების ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციისთვის დაინერგა რუსეთში, ირანში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთსა და ფინეთში. ილია მიქაძე დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, არაერთი სიგელითა და მედლით, იყო აკადემიკოს ვაკილოვის სახელობის პრემიის ლაურეატი.

განსაკუთრებული გულისხმიერებით ზრუნავდა ბატონი ილია ქართული მეცნიერული სკოლის შემადგენლობის გაფართოებაზე. მისი ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. ახალგაზრდული შემართებით ჩატარებული ლექციები სტუდენტებთან და მაგისტრანტებთან ყოველთვის გამოირჩეოდა ღრმა შინაარსით და იმსახურებდა მათ მოწონებას.

დაუვიწყარი იქნება სახელოვანი მეცნიერის, დიდებული ადამიანის, ღირსეული მამულიშვილის, ბატონი ილია მიქაძის ხსოვნა მისი ოჯახის, მეგობრებისა და კოლეგებისათვის.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,  
ჟურნალის რედაქცია**



**პროფესორ თეიმურაზ იმედაძის ხსოვნა  
(1939 – 2009)**

თეიმურაზ გრიგოლის ძე იმედაძე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი,

თეიმურაზ იმედაძე დაიბადა 1939 წლის 10 მარტს ქ. თბილისში.

1959 წელს დაამთავრა თბილისის 23-ე საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტში, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე, ავტომატიკისა და ტელემექანიკის სპეციალობით. იგი გამოირჩეოდა ბეჯითი სწავლით, ახალი დისციპლინების ათვისების კარგი უნარით, მეცნიერული აზროვნებით. როგორც მოწინავე სტუდენტმა, წინასააღიპლომოდ პრაქტიკა 6 თვის განმავლობაში გაიარა რიგის ელექტრომანქანათმშენებელ ქარხანაში, სადაც სპეციალიზებულ საკონსტრუქტორო ბიუროში მუშაობდა მე-3-თანრიგის ლაბორანტად. 1964 წელს წარჩინებით დაიცვა დიპლომი და მიენიჭა ინჟინერ-ელექტრიკოსის კვალიფიკაცია.

1964 წლის სექტემბრიდან თ. იმედაძე იწყებს მუშაობას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრის ასისტენტად. 1968 წელს სწავლა განაგრძო პეტერბურგის (ლენინგრადის) ზუსტი მექანიზმებისა და ოპტიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1973 წელს აქვე, მართვისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო საბჭოზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "მართვის გამოთვლითი სისტემების ოპტიმალური დინამიკური მახასიათებლების განსაზღვრის ალგორითმული კვლევა და დამუშავება" და 1974 წელს საკავშირო საატესტაციო კომისიის მიერ მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

უდავოდ დიდია ბატონი თეიმურაზ იმედაძის დამსახურება სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის თვალსაზრისით. 1971 წლიდან იგი მუშაობას განაგრძობს სპი-ს ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრაზე, ჯერ ასისტენტად, შემდეგ უფროს მასწავლებლად, და 1975 წლიდან დოცენტად. 1978 წელს საკავშირო საატესტაციო კომისიის მიერ მას მიენიჭა დოცენტის აკადემიური წოდება სპეციალობით "ავტომატიკა და ტელემექანიკა". 1986-1989 წლებში თ. იმედაძე მუშაობს ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. 1989-2005 წლებში სტუ-ს "მართვისა და ავტომატიზაციის" კათედრის დოცენტად, 2006 წლიდან იგი გადაყვანილია იმავე კათედრის სრული პროფესორის თანამდებობაზე. 2007 წლიდან იგი საინჟინრო კიბერნეტიკისა და ხელსაწყოთმშენებლობის დეპარტამენტის სრულ პროფესორია.

სტუ-ში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობის მანძილზე ბატონ თ. იმედაძის მიერ გამოქვეყნებულია 50-ზე მეტი სამეცნიერო და პედაგოგიური ნაშრომი, მათ შორის 8 სახელმძღვანელო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი და ინიციატივა ქართველი სტუდენტების პრაქტიკების ორგანიზაციის საკითხებში პეტერბურგის უნივერსიტეტებსა და ავტომატიზაციის სამეცნიერო-საწარმოო დაწესებულებებში.

ბატონი თეიმურაზ იმედაძის, გულისხმიერი ადამიანის და ღირსეული მეცნიერის, უადრესად პატიოსანი და ფაქიზი სულის კაცის ნათელი სახე დიდხანს იცოცხლებს მისი ოჯახის, მეგობრების და კოლეგების მეხსიერებაში.

**მართის სისტემებისა და რობოტოტექნიკის მიმართულება,  
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,  
ჟურნალის რედაქცია**



**პროფესორ აკაკი ვაშაკიძის ხსოვნა**  
**(1950 – 2010)**



აკაკი გრიგოლის ძე ვაშაკიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, "გამოთვლითი ტექნიკის-№51" კათედრის გამგის მოადგილე, წლების განმავლობაში იყო ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე საზოგადოებრივ საწყისებზე ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობის დარგში.

აკაკი ვაშაკიძე დაიბადა 1950 წლის 25 ივნისს ქ. თბილისში.

1967 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტზე, სპეციალობით "გამოთვლითი ტექნიკა". აქტიური სტუდენტი გამოირჩეოდა მეცნიერული აზროვნებით, იყო სახელობითი სტიპენდიანტი. მისი ორგანიზატორული ნიჭი კარგად გამოჩნდა ამ წლებში, როდესაც იგი არჩეულ იყო ავტ-ფაკულტეტის ახალგაზრდათა კავშირის მდივნად. 1972 წელს მან წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი "ელექტრონული გამომთვლელი მანქანების" სპეციალობით და ამავე წელს სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1975 წელს.

1975 წლიდან ა. ვაშაკიძე ხდება კათედრის სამეცნიერო თემის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, ხოლო 1976 წლიდან ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საპრობლემო ლაბორატორიის მეცნიერ თანამშრომელი.

1978 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სპი-ს სამეცნიერო საბჭოს წინაშე თემაზე: "გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით სახლმშენებელ კომბინატის ტექნოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირებისა და მართვის ზოგიერთი საკითხები" და საკავშირო უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მას გამოქვეყნებული ჰქონდა 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და სახელმძღვანელო, 2 გამოგონება.

ბატონი აკაკი 1979 წლიდან აქტიურად ებმება ფაკულტეტის პედაგოგიურ საქმიანობაში. ჯერ ხდება "გამოთვლითი ტექნიკის" კათედრის ასისტენტი, შემდეგ - 1981 წლიდან უფროსი მასწავლებელი, 1983 წლიდან კათედრის დოცენტი. 2006 წელს იგი არჩეულია ამავე კათედრის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლო წუთამდე.

უდავოდ დიდია ბატონი აკაკი ვაშაკიძის დამსახურება სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის თვალსაზრისით. როგორც კათედრის გამგის მოადგილე, დეკანის მოადგილე საზოგადოებრივ საწყისებზე, ყოველთვის აქტიურად და გულსხმძიურად ეკიდებოდა კოლეგებისა და სტუდენტების პრობლემურ საკითხებს.

ბატონი აკაკი გახლდათ ჩინებული მეოჯახე, სამი შვილის მამა და შვილიშვილების ბაბუა, რომლის ქრისტიანული ცხოვრების წესი სამაგალითო იყო გარშემო მყოფთათვის.

გამორჩეული, ჭეშმარიტად დიდი და საიმედო კაცის, ბატონ აკაკი ვაშაკიძის ნაადრევი წასვლა უდიდესი დანაკლისია, ვინაიდან ყველას მოაკლდა მისი ღიმილი, სიტბო, თანადგომა, იუმორი, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე გაცემდა.

პროფესორ აკაკი ვაშაკიძის - ღირსეული ერისკაცის, მეცნიერის, აღმზრდელისა და მოღვაწის ნათელი სახე დიდხანს იცოცხლებს მისი ოჯახის, მეგობრებისა და კოლეგების მეხსიერებაში.

**კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების მიმართულემა,  
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,  
ყურნალის რედაქციემა**